სკოლის მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების ფორმირების ფაქტორთა მარკეტინგული კვლევა იმერეთის რეგიონში

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-29

მაია ახვლედიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
maia.akhvlediani1@atsu.edu.ge

ირინე კოპალიანი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

ზოგად საგანმანათლებლო სკოლა უფროსი თაობიდან ახალგაზრდა თაობამდე, სოციალური გამოცდილების, ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გადასაცემად, ყველაზე მნიშვნელოვანი შუალედური რგოლია. ერთი მხრივ, სკოლა როგორც საჯარო დაწესებულება, არის ცოცხალი სოციალური ორგანიზმის ერთგვარი სარკე, მეორეს მხრივ, სკოლა არის მძლავრი იარაღი მოზარდების პიროვნული თვისებების ჩამოსაყალიბებლად. ამ თვალსაზრისით, სკოლა სახელმწიფო და სოციალური წესრიგის აღსრულების, ქვეყნის განვითარების პირობების შექმნის საფუძვლია.

თანამედროვე პირობებში, საქართველოში მწვავედ დგას მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლების საკითხი, შესაბამისად თანამედროვე სკოლაც ფინანსური განათლების პრობლემებს „შეიცავს“. კვლევის მიზანს, თანამედროვე მოზარდის

ფინანსური წიგნიერების დონის კვლევა წარმოადგენდა. კვლევის მეთოდები მოიცავდა: საკვლევი პრობლემის მიმართ, სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების სინთეზს და ანალიზს, ანკეტური გამოკითხვის და სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს. ჩვენს მიერ განხორციელებული მარკეტინგული კვლევის შედეგად მოვახდინეთ, ოჯახში ბავშვთა ფინანსური აღზრდის თვისობრივ მახასიათებლების იდენტიფიცირება, „ფინანსური წიგნიერების" კონცეფციის ძირითადი კომპონენტების, სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების ინტეგრირების კონტექსტში დასაბუთება და დავალების ჩამოყალიბება ანკეტური გამოკითხვის კითხვის სახით. შესაბამისად, სკოლის მოსწავლეთა ფინანსური ცოდნა გაანალიზდა ხუთი ძირითადი ფაქტორის მიხედვით: ფინანსური უნარები, ფინანსური ქცევა, ღირებულებები, ფულის მართვის სტილი, ფინანსური ცოდნა. ასეთი კვლევის ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მათი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესში „სპონტანურად" მიღებული, ფინანსურ ცოდნისა და შესაბამისი ფინანსური ქცევის პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური წიგნიერება, ფინანსური ქცევა, ფინანსური უნარები, ღირებულებები, ფულის მართვის სტილი, ფინანსური ცოდნა, საგანმანათლებლო პროგრამები.

სტატიის ძირითადი შინაარსი

საქართველოში ახალგაზრდა თაობის სოციალიზაცია საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში ხორციელდება, სადაც ფინანსური წიგნიერება თითოეული ადამიანის განუყოფელი კომპეტენცია და თანამედროვე ცხოვრების სავალდებულო კომპონენტი გახდა. ფინანსური წიგნიერება, ადამიანების უნარების, ცნობიერების, ცოდნის ერთობლიობაა გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის მიღწევას[1]. მოზარდ

1 Atkinson A., Messy F. Measuring financial literacy: results of the OECD. International Network on Financial Education (INFE) Pilot Study. OECDWorking Papers on Finance, Insurance and Private Pensions No. 15. OECDPublishing, Paris, 2012

თაობას აქვს შესაძლებლობა, არა მხოლოდ დაინახოს თანამედროვე ცხოვრების დადებითი და უარყოფითი ცვლილებები, არამედ შეადაროს ის საკუთარი ოჯახების ცხოვრების დონეს. ასეთმა შედარებამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდთა ფინანსური წიგნიერების და ფინანსური ქცევის მანიფესტაციების მოტივაციის გაფართოება ან პირიქით, აღძრას უარყოფითი ემოციები: ბრაზი, წყენა, შური და ა.შ[1]. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, ახალგაზრდა თაობა დაუცველია და საჭიროებს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც დაეხმარებათ შრომის, პირადი პასუხისმგებლობის, თვითორგანიზების, მოთმინების და მატერიალური კეთილდღეობის მიღმა, კარგად გაიაზრონ ფინანსური დისციპლინის როლი და მნიშვნელობა. ამ პროცესში, ახალგაზრდების საუკეთესო დაცვად, მიზნობრივი ფინანსური განათლებისა და აღზრდის გავლენით ჩამოყალიბებული პიროვნულ ღირებულებათა სისტემა გვესახება. ღირებულებათა ისეთი სისტემა, სადაც ფული არა მიზანი, არამედ პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებაა, სადაც წინა პლანზე მარადიული ადამიანური ღირებულებები (სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, შემოქმედებითობა და ა.შ.) დგას[2].

საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის ობიექტია იმერთის რეგიონის სასკოლო დაწესებულებები. კვლევის მიზანია სკოლის მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების ფაქტორების მარკეტინგული კვლევა, ხოლო კვლევის ძირითად ამოცანებია:

- ოჯახში ბავშვთა ფინანსური აღზრდის თვისობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირება და დასაბუთება.
- „ფინანსური წიგნიერების“ კონცეფციის ძირითადი კომპონენტების, სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების ინტეგრირების კონტექსტში, იდენტიფიცირება და დასაბუთება.
- დავალების ჩამოყალიბება კითხვის სახით (როგორ უნდა

1 Corr P., Plagnol A. Behavioral economics the basics. - Taylor &Francis, 2019. P. 185, 212

2 Collins D. From good to great. Why do some companies make a breakthrough, while others do not / per.Stockholm School of Economics. 2005 P. 126 - 131. 2005.P. 126 - 131.

დავშიფროთ „ფინანსური წიგნიერების“ კონცეფციის ძირითადი კომპონენტები სკოლის მოსწავლეთა ფინანსური განათლების შესახებ კითხვარის სახით).

კვლევის მიზნიდან გამომდინარე იმერეთის რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში (9 საჯარო საკოლა) წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა შიდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში, ჩატარდა მოსწავლეთა მარკეტინგული კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. სულ გამოკითხული იქნა 220 რესპონდენტი. რესპონდენტები შეირჩნენ სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით, როგორც საალბათო, ისე არასაალბათო შერჩევის პრინციპით[1]. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა 13 დან 18 წლამდე ასაკობრივ სეგმენტს მიეკუთვნება, აქედან 54% ქალთა სქესის წარმომადგენელია, 46 % მამაკაცთა სქესის.

მოზარდთა ფინანსური უნარების კვლევა პირველ რიგში ჯიბის ფულის როგორც „ფინანსური განათლების ინსტრუმენტის“ არსებობა-არარსებობის საკითხის შესწავლით დაიწყო. პროგნოზირებადი ჯიბის ფულის არსებობამ ან არარსებობამ მოზარდებში შეიძლება განავითაროს ან მთლიანად დაბლოკოს ფულის დაზოგვის, შემოსავლისა და ხარჯების დაფიქსირების უნარების ჩამოყალიბება[2]. ჯიბის ფულის არაპროგნოზირებადობის ვითარებაში, მოზარდს ფინანსურ გადაწყვეტილებებზე ინფანტილური პოზიცია შეიძლება გაუცნობიერებლად დაეკისროს, რაც ნაკლებად დაეხმარება მას ისწავლოს ფულის მართვა.

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, მოსწავლის ჯიბის ფული შემოიფარგლება კონკრეტული ოდენობით თუ არ აქვს შეზღუდვები, გაიცემა ბავშვის მოთხოვნით თუ მშობლის განწყობით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეუზღუდა-

1 Philip Kotler, Armstrong Gary, Principlez of Marketing, 14 Tehe Eduition, USA. 2012.

2 Nicolini, G. Financial literacy: a comparative study across four countries [Electronic resource] /G. Nicolini, B.J. Cude, S. Chatterjee // International Journal of Consumer Studies. — URL:http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/ijcs.12050/full

ვმა და შემთხვევითმა თანხებმა შეიძლება შექმნას მოზარდების მხრიდან გამოძალვის, ხოლო მშობლების მხრიდან თვითნებობის საფუძველი[1]. პირიქით, ჯიბის ფულის მოცულობის შეზღუდვა მოზარდის საჭირო ხარჯებით, ართმევს მას პირად ფულს და მისი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობას. ფულის „განაწილებისა“ და „განკარგვის“ ცნებებს შორის განსხვავებაა.[2] პირველ შემთხვევაში, ბავშვი უბრალოდ იხდის ზოგიერთ მომსახურებას ფასთა ჩამონათვალის მიხედვით (მაგალითად საუზმე სკოლის კაფეტერიაში), მაგრამ უფასო ფული არ რჩება. მეორე შემთხვევაში, ბავშვს აქვს სივრცე ფინანსური თავისუფლებისა და არჩევანისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტის არსებობა - არარსებობის გასარკვევად 13-15 წლამდე მოზარდებს დავუსვით შეკითხვა: „თქვენთვის ჯიბის ფულის ოდენობა ჩვეულებრივ არის.....“ „პროგნოზირებადი“ პასუხობს გამოკითხულ რესპონდენტთა 25%, „არაპროგნოზირებადი“ - 32 %, „შეზღუდული“ - 15%, „შეუზღუდავი’ - 37%, „ჯიბის ფული საერთოდ არ მაქვს“ - 5% (იხ. დიაგრამა № 1)

მიგვაჩნია, რომ ფინანსური განათლების ოპტიმალური სიტუაცია შეიძლება იყოს, როდესაც მშობლები შვილებთან შეთანხმებით განსაზღვრავენ ჯიბის ფულის ოდენობას და იცავენ პროგნოზირებად და მტკიცე პოზიციას, იციან ჯიბის ფულის საგანმანათლებლო დანიშნულება.

ფინანსური წიგნიერების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ოჯახის მიერ ბავშვის ფინანსურ ქცევაზე კონტროლის დონე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ფინანსური განათლების ამოსავალი წერტილი შეიძლება იყოს ჯიბის ფულის პროგნოზირებადი რაოდენობის არსებობა და მის ხარჯვაზე კონტროლი.

კითხვაზე: „მშობლები როცა ჯიბის ფულს გაძლევენ ..“ მო-

1 Measuring Financial Literacy: Questionnaire and Guidance Notes for Conducting an InternationallyComparable Survey of Financial Literacy. — Paris: OECD, 2011. — 31 p

2 Remund, D.L. Financial Literacy Explicated: The Case for a Clearer Definition in an Increasingly ComplexEconomy / D.L. Remund // Journal of Consumer Affairs. — 2010. — Vol. 44. — Iss. 2. — P. 276-295.



წყარო: ანკეტური გამოკითხვა.

სწავლეთა პასუხები ასე გადანაწილდა: ,,აკონტროლებენ სად და როგორ ვხარჯავ“ - 31%, ,,არ აკონტროლებენ, უბრალოდ მომცემენ მეტ ფულს, როცა დავხარჯავ“ - 26 %, ,,წინასწარ ვგეგმავ ხარჯებს და ფულის ხარჯვას ჩემს თავზე ვიღებ“ - 23%, ,,ვაკეთებ დანაზოგს და დანაზოგიდან ვიხდი საკუთარ ხარჯებს“ - 20% (იხ.დიაგრამა №2).



წყარო: ანკეტური გამოკითხვა.

ფინანსური წიგნიერების შემდეგი ფაქტორი რისი კვლევაც განვახორციელეთ არის ფინანსური ქცევა. ფინანსური ქცევა კონკრეტული ქმედებების ერთობლიობაა საკუთარი ფინან-

სური რესურსებით[1]. მკვლევარები ფინანსურ ქცევას ყოფენ ექვს კომპონენტად: საკრედიტო ქცევა, ინვესტიცია, დანაზოგი, დაზღვევა, პენსია, ქველმოქმედება[2]. ჩვენი თვალსაზრისით, დაზოგვის ქცევა ყველაზე აქტუალურია სკოლის მოსწავლეთა ქცევის კვლევისთვის. დაზოგვისა და დაზოგვის სურვილი ბავშვებში ბუნებრივად ჩნდება ჯიბის ფულის გაჩენასთან ერთად. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ დაზოგვის შედეგად დაგროვილი ჯიბის ფული და საჩუქრის სახსრები დიდი ხნის განმავლობაში არის „უფასო“ ფულის ერთადერთი წყარო, რომლის დახარჯვაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად. ამიტომ კითხვარი 13-15 წლის მოზარდებისთვის შეიცავს შემდეგ კითხვას: „ზოგავთ თუ არა ფულს თქვენი საჭიროებისთვის ?“ რესპონდენტები პასუხობენ: „არა მშობლები ჩემთვის ყველაფერს ყიდულობენ“ - 17%, „ არ ვთვლი საჭიროდ დაზოგვას, მაგრამ ხანდახან მიწევს“ - 20%, „ არ მიყვარს დაზოგვა, მაგრამ ხანდახან ვზოგავ კონკრეტული მიზნით“ – 11%, „ არ ვიცი რატომ უნდა დავზოგო“ - 22%, „დიახ, მომწონს დაზოგვა, მაგრამ ამას რეგულარულად არ ვაკეთებ და სწრაფად ვხარჯავ“ - 27%, „მე ყოველთვის ვზოგავ ფულს - მომწონს , როცა დანაზოგს ვაკეთებ“ - 2%. (იხ. დიაგრამა №3)

კითხვარის ფორმულირებისას, ფინანსურ ცოდნასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მიდგომების გამოყენება. პრობლემური კითხვის ფორმულირებით შევეცადეთ შეგვესწავლა ესმით თუ არა სკოლის მოსწავლეებს ბანკების დანიშნულება და რთულ ცხოვრებისეულ ვითარებაში, ფინანსური დახმარებისთვის, რამდენად განიხილავენ ბანკისთვის მიმართვის შესაძლებლობას. ამ მიზნით, მოსწავლეებს დავუსვით შეკითხვა: „გარკვეული ადამიანი დარჩა უცხო ქალაქში ფულის გარეშე („საფულე დაკარგა“).

1 Lusardi, A. and Mitchell, O., "Financial Literacy and Retirement Planning: New Evidence from the Rand American Life Panel," University of Michigan, Michigan Retirement Research Center, Ann Arbor, Working Papers wp15.

2 Akintoye, R., Ogunode, O., Ajayi, M. and Joshua, A. A., "Cyber Security and Financial Innovation of Selected Deposit Money Banks in Nigeria," Universal Journal of Accounting and Finance, vol. 10, no. 3, pp. 643-652, 2022.

დიაგრამა № 3: „ზოგავთ თუ არა ფულს თქვენი საჭიროებებისთვის?"



წყარო: ანკეტური გამოკითხვა.

გთხოვთ, ურჩიეთ მას, როგორ გააგრძელოს“. რესპონდენტთა პასუხები ასეთია: „სასწრაფოდ მოძებნეთ ნახევარ განაკვეთზე სამუშაო” - 14 %, „სთხოვეთ ადამიანებს დახმარება მოწყალების ან შემოწირულობის სახით“ – 32% „მიიღეთ გრძელვადიანი საბანკო სესხი“- 12%, „მიმართეთ მომენტალურ სესხს და მიიღეთ თანხა დაუყოვნებლივ“- 34% „გამოიყენეთ შავი დღისთვის” ბანკში დაგროვილი ფული, ასეთის არსებობის შემთხვევაში“ – 8%. აღნიშნულმა პასუხებმა გამოავლინა არა მხოლოდ მოზარდთა ცოდნა, არამედ მისადმი დამოკიდებულება.

მიხედავად იმისა, რომ სკოლებში მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების მიზანმიმართული სწავლება ან სისტემატური ტრენინგი არ ტარდება, მოსწავლეები ავლენენ ფინანსური საკითხების ცოდნას და ამ ცოდნის გაფართოებისადმი მზარდ ინტერესს. ანკეტური გამოკითხვის კითხვარმა მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდა მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების შესახებ ემპირიული ინფორმაციის მისაღებად.

დასკვნა

დღეს მოზარდთა ფინანსური განათლების ფორმირება, სპონტანურად მიმდინარეობს „ცდისა“ და „შეცდომის“ მეთოდით. კვლევის დროს ჩვენ შევისწავლეთ იმერეთის რეგიონის სკოლის მოსწავლეთა ფინანსური ცოდნა ხუთი ძირითადი ფაქტორის მიხედვით (ფინანსური უნარები, ფინანსური ქცევა, ფინანსური ქცევის სტრატეგიები, ფულის მართვის სტილი, ფინანსური ცოდნა). სკოლის მოსწავლეებმა აჩვენეს ინფორმირებულობა ფინანსურ საკითხებში და დიდი ინტერსი გამოავლინეს საკვლევი თემის მიმართ. აღნიშნული გვმატებს სამეცნიერო ოპტიმიზმს და აძლიერებს ჩვენს პოზიციას, რომ საჭიროა შეიქმნას და დაინერგოს სასკოლო განათლების სფეროში, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ფინანსური წიგნიერების საგანმანათლებლო პროგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Corr P., Plagnol A. Behavioral economics the basics. - Taylor & Francis, 2019. P. 185, 212
2. Collins D. From good to great. Why do some companies make a breakthrough, while others do not / per.Stockholm School of Economics. 2005 P. 126 - 131. 2005.P. 126 – 131.
3. Kotler Philip.Armstrong Gary. Principles of Marketing, 14th Edition, USA. 2012.
4. Atkinson, A. Measuring financial literacy: results of the OECD INFE Pilot Study [Electronic resource] /A.Atkinson, F.-A. Messy // OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions. — 2012. — №15.
5. Nicolini, G. Financial literacy: a comparative study across four countries [Electronic resource] /G. Nicolini, B.J. Cude, S. Chatterjee // International Journal of Consumer Studies. — URL:http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/ijcs.12050/full.
6. Measuring Financial Literacy: Questionnaire and Guidance Notes for Conducting an Internationally Comparable Survey of Financial Literacy. — Paris: OECD, 2011. — 31 p.

7. Remund, D.L. Financial Literacy Explicated: The Case for a Clearer Definition in an Increasingly Complex Economy / D.L. Remund // Journal of Consumer Affairs. — 2010. — Vol. 44. — Iss. 2. — P. 276-295.

8. Lusardi, A. and Mitchell, O., "Financial Literacy and Retirement Planning: New Evidence from the Rand American Life Panel," University of Michigan, Michigan Retirement Research Center, Ann Arbor, Working Papers wp15.

9. Akintoye, R., Ogunode, O., Ajayi, M. and Joshua, A. A., ,,Cyber Security and Financial Innovation of Selected Deposit Money Banks in Nigeria," Universal Journal of Accounting and Finance, vol. 10, no. 3, pp. 643-652, 2022.

MARKETING RESEARCH OF FINANCIAL EDUCATION FACTORS OF SCHOOL STUDENTS IN IMERETI REGION

Maia Akhvlediani
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of Akaki Tsereteli State University,
maia.akhvlediani1@atsu.edu.ge

Irine Kopalini
PhD in Business Administration,
Invited Lecturer at Akaki Tsereteli State University

RESUME

School that gives general education has been the most significant intermediate link for the transfer of social experience, knowledge, skills and abilities from the older generation to the youth. On one hand, the school, as a public institution, is a kind of mirror of a social organism, on the other hand, the school is a powerful tool for forming the personal qualities of adults. From this point of view, the

school is the basis for enforcing the state and social order, creating the conditions for the country's development.

In the contemporary conditions, the issue of raising the level of financial education of the population in Georgia is acute, therefore the modern school also "includes" the problems/tasks of financial education. The purpose of the research was to describe the "portrait" of the contemporary teenager in the context of financial literacy. The following research methods were included to the research problem: synthesis and analysis of different scientific approaches, questionnaire survey and statistical processing methods.

As a result of the marketing research conducted by us, we managed to identify the qualitative characteristics of giving financial education to children in the family, substantiated the main components of the concept of "financial literacy" in the context of integrating various scientific approaches, and formulated the task as a questionnaire.

Thus, School students' awareness about finances was analyzed by considering five main factors: financial skills, financial behavior, values, types of management of money, financial education and awareness. This research has been tremendously significant and crucial since it has given us the opportunity to find out the financial education and practice of financial behavior, that have been done spontaneously, in the process of adults' socialization.

Key words: Financial literacy, financial behavior, financial skills, values, money management style, financial knowledge, educational programs.